ობსერვატორიის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლისა და გადაადგილების პირობები

1. ობსერვატორიის მთელ ტერიტორიაზე აკრძალულია:
   ა) უცხო პირთა (საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი) შესვლა და გადაადგილება უფლებამოსილი პირის ინფორმირების გარეშე;
   ბ) სამეცნიერო დაწესებულებისათვის და სამეცნიერო-კვლევითი გარემოსათვის შეუფერებელი საჯარო ქმედება: ხმაური, კოცონის დანთება, პიკნიკების და სხვა ანალოგიური თავყრილობების მოწყობა და ა.შ; გ) ობსერვატორიის თანამშრომლის პირადი სტუმრის შესვლა ობსერვატორიის ტერიტორიაზე ამ თანამშრომლის არყოფნის დროს;

2. ობსერვატორიის ტერიტორიაზე ყოფნისას პირი ვალდებულია:
   ა) ხელი არ შეუშალოს ობსერვატროიის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას;
   ბ) დაიცვას ჯანმრთელობის დაცვის პროტოკოლები, რეკომენდაციები და ჰიგიენის წესები, რომლებიც დადგენილია/რეკომენდებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ;
   გ) დაემორჩილოს ობსერვატორიის დაცვის სამსახურის კანონიერ მითითებებს.

3. სავალდებულოა ობსერვატორიის ტერიტორიაზე ექსკურსიის მიზნით პირის ან პირთა ჯგუფის ვიზიტი (დრო, ხანგრძლივობა) წინასწარ შეთანხმდეს პასუხისმგებელ პირთან.

4. ობსერვატორიის თანამშრომელი:
   ა) ვალდებულია განახორციელოს პასუხისმგებელი პირის ინფორმირება ობსერვატორიის ტერიტორიაზე მასთან პირადი სტუმრის ვიზიტის (შესვლის) შესახებ;
   ბ) ვალდებულია ობსერვატორიის ტერიტორიაზე შემოსვლისას დახვდეს და დანიშნულების ადგილამდე მიაცილოს მასთან ვიზიტით მყოფი პირადი სტუმარი;
   გ) პასუხისმგებელია ობსერვატორიის ტერიტორიაზე მასთან სტუმრად მყოფი პირის მიერ ობსერვატორიის შინაგანაწესის დაცვაზე.

5. წინამდებარე პირობების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, ობსერვატორიის დაცვის სამსახური ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ პასუხისმგებელ პირს, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია, დამრღვევი პირის მიმართ გაატაროს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ყველა საჭირო ღონისძიება, მათ შორის განახორციელოს სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება.